ხელშეკრულება № 97
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი **05 ივლისი 2017 წელი**

ერთის მხრივ, ქ გორის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მერის მოვალეობის შემსრულებლის თამაზ შიოშვილი, სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „ბურჯი“ (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ქსოვრელის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია (შემდგომში შესყიდვის ობიექტი) ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის 2017 და 2018 წლების ბიუჯეტის სახრებით ქალაქ გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონისათვის ერთ ერთეული SDMO ფირმის V630C2 ტიპის 630 KVA (504KW) სიმძლავრის დიზელ გენერატორის (შემდგომში – „საქონელი“) შესყიდვა, ტრანსპორტირებით და მონტაჟით (თანდართული 05.07.2017 წ-ს №010 ინვოისის შესაბამისად), საქონლის გამოშვების წელი 2012წ. სერიული № V630C212004439. CPV კოდი 31120000 შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში, ლარში.
3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასია: საქონლის ფასი 156000 (ასორმოცდათექვსმეტი ათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, ტრანსპორტირებისა და მონტაჟის (გამართვა-გაშვების ჩათვლით) ფასი 9000 (ცხრა ათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
33 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა – 165000 (ასსამოცდახუთი ათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით. საქონლის მიწოდებასთან (მონტაჟით) დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.
4.2 მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადაა საქონლის (მონტაჟით) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ერთი თვე. აღნიშნულ პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის ან მონტაჟის უხარისხობით გამოწვეული წუნი გამოაწოროს საკუთარი ხარჯით, შემსყიდველისაგან შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში. წინამდებარე საგარანტიო მომსახურების პირობები არ ვრცელდება გარე მოვლენებით გამოწვეულ დაზიანებებზე (მათ შორის დაზიანებებზე, რომლებიც გამოწვეულია მექანიკური ზემოქმედებით, ძაბვის ცვალებადობით, საწვავისა და საცხებ-საპოხი მასალების უხარისხობით, სტიქიური მოვლენებით) ასევე ისეთ დაზიანებებზე, რაც გამოწვეულია საქონლის არასწორი ექსპლუატაციით (მათ შორის შენახვის და მოვლა-პატრონობის პირობების დარღვევით).

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის (მონტაჟით) მიწოდების ვადა:
5.1.1 მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს საქონლის მიწოდება 2017 წლის 05 ივლისს.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქალაქ გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

7.1 .მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.
7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით 2017 და 2018 წლების ადგილობრივი ბიუჯეტიდან.
7.2.1 მიმწოდებელს 2017 წელს აუნაზღაურდება 1000 (ერთიათასი) ლარი, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამის დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო 2018 წლის მარტის თვეში აუნაზღაურდება 164000 (ასსამოცდაოთხი ათასი) ლარი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
8.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
8.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
8.2.2 უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება და შემდგომ მისი ექსპლუატაცია/მოვლა-პატრონობა, საქონლის მწარმოებლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად..
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
8.4.1 მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი მონტაჟით 2017 წლის 05 ივლისს;
8.4.2 მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯით უნდა მოახდინოს საქონლის ტრანსპორტირება დანიშნულების ადგილამდე და მონტაჟი.
8.4.3 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
9.6 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ს, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლოს გადახდა.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 მაისის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.4 ხელშეკრულების შეწყვეტა ასევე შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;
13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება პირგასამტეხლოს მოთხოვნი გარეშე.
13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;
14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
15.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას და საქონლის (მონტაჟით) მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
15.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
15.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი მიმწოდებელთან, ორი შემსყიდველთან).
16.5. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.6. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კ: 218083767
მისამართი : ქ.გორი სტალინის გამზ. №16
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი TRESGE22
მიმღების ანგარიში, GE24NB0330100200165022

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერის მ.შ

თამაზ შიოშვილი

„მიმწოდებელი“:

შ.პ.ს „ბურჯი"
ს\კ: 204973742
ქ თბილისი ჭავჭავაძის გამზირი №39ა
ბანკი ს.ს „ბანკი ქართუ"
ბ/კოდი CRTUGE22
ანგ.№ GE81CR0000000000133605

შ.პ.ს „ბურჯი"-ს დირექტორი

გიორგი ქსოვრელი

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. გორი 05 ივლისი 2017 წელი.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ დიზელ გენერატორის შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შ.პ.ს „ბურჯი" -სთან ინტერესთა კომპლიქტში არ ვიმყოფებით.

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერი ზურაბ ჯირკველიშვილი

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეიმურაზ მანველიშვილი

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი აკაკი ხუფენია

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის, მატერიალურ-ტექნიკურ
უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი მიხეილ ნონიკაშვილი

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების
განყოფილების უფროსი მურაზ შიოშვილი

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080138091515317

 # 1935 **07 / ივლისი / 2017 წ.**

ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2017 წლის 5 ივლისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის SMP170001719 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდული ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ, ქალაქ გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონისათვის, 2017 წლის 5 ივლისს განახორციელა SDMO-ს ფირმის, V630 C2 ტიპის, 630 KVA (504 KW) სიმძლავრის დიზელ გენერატორის (CPV 31100000 - ელექტროძრავები, გენერატორები და ტრანსფორმატორები) შესყიდვა, ღირებულებით - 165000 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2017 წლის 02 ივლისს, პირველი მატჩის ჩატარების პროცესში, მაღალი ტემპერატურის (ძლიერი სიცხეები) გამო, არსებულმა გენერატორმა ვერ უზრუნველყო გამართული მუშაობა, რამაც წარმოშვა ჩემპიონატის ჩაშლის საშიშროება, აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მაქსიმალურად შეზღუდულ ვადაში მომხდარიყო SDMO-ს ფირმის, V630 C2 ტიპის, 630 KVA (504 KW) სიმძლავრის დიზელ -გენერატორის შესყიდვა. ამასთან, შესყიდვის დაყოვნებას შესაძლოა გამოეწვია 2017 წლის 6, 8 და 9 ივლისს ქალაქ გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე, 19 წლამდელთა ევროპის ჩეპიონატის ფინალური ეტაპის თამაშების ჩაშლა, რაც გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა სახელმწიფო ინტერესებს.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, რამდენადაც, წარმოდგენილი მომართვის თანახმად, 2017 წლის 02 ივლისს, პირველი მატჩის ჩატარების პროცესში, მაღალი ტემპერატურის (ძლიერი სიცხეები) გამო, არსებულმა გენერატორმა ვერ უზრუნველყო გამართული მუშაობა, რამაც წარმოშვა ჩემპიონატის ჩაშლის საშიშროება, აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მაქსიმალურად შეზღუდულ ვადაში მომხდარიყო SDMO-ს ფირმის, V630 C2 ტიპის, 630 KVA (504 KW) სიმძლავრის დიზელ გენერატორის შესყიდვა.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე